თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №31

29 ივნისი 2018 წელი

ქ. თეთრიწყარო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ზე მეტი ღირებულების გარიგების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ.ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. მაწევანში მისასვლელი გზის მოწყობა-რეაბილიტაციის და სოფ. ქოსალარში მისასვლელი გზის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოების მრავალწლიანი (2018-2019 წ.წ.) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით (საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულება) გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ შპს „ჯეუ გრუპი“-სთან გააფორმოს შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საერთო ღირებულება - 2 380 889 (ორი მილიონ სამას ოთხმოცი ათას რვაასოთხმოცდაცხრა) ლარი, აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 პროცენტს.

მუხლი 2.

განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გოჩა თედორაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

TETRITSKAARO MUNICIPALITY SAKREBULO * 230869254 *